ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.




# 90 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
**ვახუშტი ბაგრატიონი**


# თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №19 (7096) 2 ოქტომბერი, 2023 წელი


## გვახსოვდეს აფხაზეთი!

1992 წლის 27 სექტემბერს—ჯვართამაღლება დღეს, დაეცა სოხუმი...
საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად იქცა 300 ათასზე მეტი ადამიანი.
აფხაზეთის კონფლიქტმა შეიწირა ათასობით იქ მცხოვრები, ჩასული მოქალაქე და სეპარატისტიც.
ამ დღეს სიცოცხლეს გამოასალმეს ჟიული შარტავა...
გვახსოვდეს აფხაზეთი!
უფალი ფარავდეს სრულიად საქართველოს!

## ჭუბერის უღელტეხილი—გადარჩენის ერთადერთი და სიკვდილის გზაც...

ეძღვნება აფხაზეთში ყველა დაღუპულისა და ჩვენი გაზეთის ყოფილი ჟურნალისტის დიანა ციბაძის ხსოვნას.

☞8

## ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე...

2022 წლის 8 ოქტომბერს გარდაიცვალა ლაშა გოგიაშვილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი. ნათელი მის ხსოვნას!

☞2

## ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

☞2, 3, 6

## შემოდგომაა, შემოდგომა! მოსავალი ისაა, რაც ბელელშია...

☞4

## კარგი სიტყვა კარგ ადამიანებზე

☞5

## მუსიკალური საღამო ქალაქ თერჯოლაში...

☞6

## თერჯოლის იუსტიციის სახლის მშენებლობა განახლდა

იუსტიციის სახლის (რუსთაველის ქუჩა, 116) მშენებლობა მიმდინარე წელსვე დასრულდება. სამუშაოთა მწარმოებელია შპს „ენენ ჯგუფი“.

## ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე...

**„ვიმუშაოთ გუნდურად, შესაძლებლობის მაქსიმუმის ზღვარზე, გავითავისოთ პრობლემები, ყველამ აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, ვიყოთ ხალხთან ერთად“...**

**ლაშა გოგიაშვილი**

**ლაშა გოგიაშვილი—თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ადამიანებზე და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ეს ახალგაზრდა კაცი ერთი წლის წინ, 2022 წლის 8 ოქტომბერს, ავტოსაგზაო შემთხვევით გარდაიცვალა.**

მას სულ რაღაც ორ წელიწადნახევარი მოუხდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის აღმასრულებელი რგოლის—მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობა. იგი ორჯერ იყო მუნიციპალიტეტის არჩეული მერი—ერთჯერ რიგგარეშე არჩევნებზე და ერთჯერ ადგილობრივი თვითმმართველობის 2021 წლის არჩევნებზე. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ამ მოკლე დროის მანძილზე მან ბევრის გაკეთება შეძლო თერჯოლისა და თერჯოლელებისათვის, რის გამოც, როგორც ხელმძღვანელმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მუნიციპალიტეტის მმართველობის ისტორიაში.

გულსატკენი და ძალზე სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაზე, თერჯოლასა და თერჯოლელებზე უსაზღვროდ შეყვარებულმა, ენერგიით სავსე ამ ახალგაზრდა კაცმა ასე ნაადრევად დაამთავრა სიცოცხლე. კიდევ ერთხელ ვიზიარებთ მისი ოჯახის და ახლობლების მწუხარებას ბატონი ლაშას გარდაცვალების გამო... იგი დააკლდა არა მარტო მათ, არამედ მშობლიურ რაიონს, სრულიად საქართველოს... მას ჯერ კიდევ ბევრი რამ შეეძლო გაეკეთებინა ხალხისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის სასიკეთოდ...

მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით იმ დღეებში—ინტერნეტსივრცეში, სატელევიზიო ეთერებსა და ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნდა უამრავი გულისშემძვრელი მოგონება, მწუხარებაში ოჯახის თანადგომის განცხადება, რომლებშიც საზოგადოებამ კიდევ უფრო კარგად შეიცნო ამ ახალგაზრდა ხელმძღვანელის ფიქრები და ოცნებები, თერჯოლისა და თერჯოლელებისადმი სიყვარული, საქმის კეთების დაუცხრომელი სურვილები და მისი თანაგუნდელების მზადყოფნა დაწყებული საქმეების ბოლომდე მისაყვანად...

თანაგუნდელების მიერ ყოფილი მერის ინიციატივების განხორციელების კარგი მაგალითია მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია, სადაც 6000 კვადრატულ მეტრზე მოეწყო რეკრეაციული სივრცე ახალი ამფითეატრით. საზოგადოების მოთხოვნით ამ სკვერს სამართლიანად ეწოდა ლაშა გოგიაშვილის სახელი...

ნათელი მის ხსოვნას!

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია,**
**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო,**
**გაზეთი „თერჯოლა“**

## 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, დავით გოგბერაშვილთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკო.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა აფხაზეთში დაღუპული გმირები გაიხსენეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. ასევე, მემორიალზე მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჯემალ ისაკაძე, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი, საკრებულოს წევრი, იზა მაგრაქველიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. ომი 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა.

# ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

**რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.**

## ბაგა-ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დაიწყო

18 სექტემბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დაიწყო.

მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან, დავით გოგბერაშვილთან და ნინო ჩხიკვაძესთან, ასევე ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან, ელისო მურადაშვილთან, ალისუბნის მაჟორიტარ დეპუტატთან, ბადრი ბუცხრიკიძესა და სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელ, მაია თორთლაძესთან ერთად რამდენიმე ბაღში იმყოფებოდა.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, ბაგა-ბაღების პედაგოგებსა და აღსაზრდელებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და წარმატებული საქმიანობა უსურვეს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 900-მდე ბავშვი ირიცხება.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ მიმდინარე წელს, ქალაქ თერჯოლაში ახლახანს დასრულდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი №3 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა. განახლებულ სივრცეში სააღმზრდელო პროცესი უახლოეს დღეებში დაიწყება.

## ბავშვიანი ოჯახების მხარდასაჭერად

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად ახორციელებს ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამას.

პროგრამის ფარგლებში, რამდენიმე ოჯახში, პირადად მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით გოგბერაშვილი იმყოფებოდნენ, ბენეფიციარებს საყოფაცხოვრებო ტექნიკა გადასცეს და სამომავლოდ გვერდით დგომას დაჰპირდნენ.

ამ მიმართულებით შემოსულ განცხადებებს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება განიხილავს ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის ფარგლებში. განვლილ პერიოდში ბენეფიციარებს უკვე გადაეცათ საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მაცივარი და სარეცხი მანქანა.

პროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების გაძლიერება, სამიზნე ჯგუფს დაეხმაროს სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.

სამუშაო შეხვედრას ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი, ლაშა ლანჩავა, ასევე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების თანამშრომელი, ნინო ხუჯაძე და სოფელ თუზში მერის წარმომადგენელი, მამუკა გოგბერაშვილი ესწრებოდნენ.

## სამედიცინო კვლევა უფასოდ...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის, ასევე შპს ქალთა ჯანმრთელობის ცენტრი ,,ჰერას“ მობილური ჯგუფის ორგანიზებით, თერჯოლაში ძუძუს კიბოს უფასო სკრინინგი ჩატარდა.

ძუძუს კიბოს უფასო სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა შეუძლია 40-70 წლის ასაკის ქალებს, რომელთაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ აქვთ ჩატარებული აღნიშნული კვლევა.

სამედიცინო აქციის მიზანია დროული და სწორი დიაგნოსტირება, ასევე დაავადების გავრცელების რისკის შემცირება.

# ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

## სისხლის უანგარო დონაციის აქცია...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის, ასევე ქ.თბილისის მერიის, შ.პ.ს. სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ორგანიზებით სისხლის უანგარო დონაციის აქ-

ცია გაიმართა.

უანგარო დონაციის აქციაში მონაწილეობის მიზანი სისხლის ბანკისთვის სისხლის სარეზერვო მარაგისა და მისი კომპონენტების რეგულარული შევსებაა. ვირუსუსაფრთხო სისხლის კომპონენტების გადასხმა საჭირო ხდება ავტოკატასტროფების, დამწვრობის, გულის ოპერაციების, ლეიკემიის და სხვათა დროს.

ამასთან, მოქალაქეებს სისხლის ბანკის მიერ, უფასოდ და კონფიდენციალურობის სრული დაცვით ჩაუტარდათ შემდეგი გამოკვლევები:

- ჰემოგლობინი;
- B და C ჰეპატიტი;
- აივ ინფექცია (შიდსი);
- სისხლის ჯგუფისა და რეზუსის დადგენა.

მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის აქციის მონაწილეებს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოჩენისთვის, იმისათვის, რომ ისინი პერიოდულად ერთვებიან აქციაში, უანგაროდ გასცემენ სისხლს და ზრუნავენ თითოეული მოქალაქის სიცოცხლის გადასარჩენად.

## კოლხური ხოხობის მოსაშენებლად

ადგილობრივი ფაუნის სახეობათა მხარდასაჭერად, ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ თერჯოლისა და ზესტაფონის საზღვარზე, აჯამეთის ტერიტორიაზე 200 ფრთა კოლხური ხოხობი ბუნებაში გაუშვა.

მიმდინარე პროცესს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეუერთდნენ.

კოლხური ხოხობი საქართველოში ენდემური სახეობაა. შემცირებული სახეობების აღდგენა - გამრავლების ხელშეწყობის პროექტი 2016 წლიდან ხორციელდება.

სააგენტოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა განმარტებით, ტერიტორიას მეთვალყურეობას ადგილობრივ მონადირეთა საინიციატივო ჯგუფთან ერთად გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო გაუწევს.

დაცარიელებული სივრცეების შევსების და ადგილობრივი გარეული სახეობებით აღდგენა - გამრავლების პროექტს საქველმოქმედი ფონდი „აგრო ქართუ“ ახორციელებს.

## პედაგოგთა პროფკავშირები

**პროფესიული კავშირები, რომელსაც საქართველოში დიდი ხნის არსებობის ისტორია აქვს, იყო ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ნებაყოფლობით საფუძველზე აერთიანებდა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. დიდია პროფკავშირების მიზნები და ამოცანები—მრავალ მნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა, სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ადამიანების ინტერესების დაცვა.**

საქართველოში კარგა ხანია მოქმედებს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირები, (სპმთპ) რომლის პრეზიდენტია ქალბატონი მაია კობახიძე. თავისუფალი პროფკავშირული ორგანიზაცია შექმნილია საქართველოს ბევრ მუნიციპალიტეტში, მათ შორის თერჯოლაშიც. მოულოდნელ და საინტერესო ვითარებაში მოხდა თერჯოლაში კარგად ცნობილი პედაგოგის, ხათუნა გურულის წარდგენა თერჯოლის მუნიციპალიტეტის პედაგოგთა პროფკავშირების კოორდინატორად. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ცენტრმა, ეროვნული სასწავლო გეგმისა და ავტორიზაციის ექსპერტმა როლანდ ხოჯანაშვილმა, სპმთპ-ის პრეზიდენტს მაია კობახიძეს მიაწოდა ინფორმაცია ხათუნა გურულის მიღწევებისა და წარმატებების შესახებ. ერთ-ერთ ტრენინგზე ქალბატონმა მაიამ თერჯოლის მუნიციპალიტეტის პედაგოგთა პროფკავშირების კოორდინატორად წარადგინა ხათუნა გურული და ეს ფაქტი ნამდვილად იყო საამაყო და ქალბატონი ხათუნა კარგად გრძნობს იმ პასუხისმგებლობას, რაც დგას მუნიციპალიტეტის პედაგოგთა პროფკავშირების წინაშე. დღეის მდგომარეობით პროფკავშირულ ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 8 სკოლა, ხოლო პედაგოგთა რაოდენობა არის 110. მათთან შეხვედრებს სისტემატური ხასიათი აქვს და ეს შეხვედრები დატვირთულია საინტერესო აქტივობებით.

ცოტა ხნის წინ, სპმთპ-ის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ, ვიცე პრეზიდენტმა ნათია კორძაძემ, პროფესიონალ მასწავლებელთა საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, როლანდ ხოჯანაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ტყიბულის მუნიციპლიტეტის საწირის ტრენინგ ცენტრში შეხვედრა გამართეს. განხილულ იქნა პროფკავშირების საქმიანობის შედეგები და პრიორიტეტები. საუბარი იყო საქართველოს შრომითი კოდექსით გათვალისწინებულ უფლებებზე, კანონქვემდებარე აქტებით დარეგულირებული ფინანსური საქმიანობის მართებულად განხორციელებაზე, კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებების, საავადმყოფო ფურცლის, დეკრეტული შვებულების და კუთვნილი ანაზღაურებადი ან ანაზღაურების გარეშე შვებულების გამოანგარიშების შესახებ და სხვა, ასეთი შეხვედრები მომავალშიც გაიმართება. ამ შეხვედრის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტრენინგები სკოლების ავტორიზაციის თემაზე.

სპმთპ—საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა პედაგოგებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლება და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის. პროფკავშირების კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში განსაზღვრულია პრიორიტეტები და ეს მუშაობა გრძელდება, მთავარი ადგილი მაინც ძირითადს—მასწავლებელთა შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივი უფლების დაცვას უჭირავს. პროფკავშირებში მიიჩნევენ, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა პედაგოგთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, მაგრამ ძირითად პრობლემად მაინც რჩება პედაგოგთა საბაზო ხელფასის ზრდა. ამ პრობლემის მოგვარება რადიკალურად შეცვლის და გაუმჯობესებს მასწავლებელთა სადამრიგებლო, კლასკომპლექტების და სხვა დანამატების ზრდის საკითხს-ო ამბობენ. მიიჩნევენ, რომ უნდა აღმოიფხვრას დისკრიმინაციული მიდგომა მცირეკონტინენტიან სკოლებში სტატუსის დანამატის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. აქ ნაგულისხმევია საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები, რომლებიც ვერ იღებენ სრულად სტატუსის დანამატს, თუ სკოლას აქვს დანამატის სრულად გაცემისთვის საჭირო საათების რაოდენობა, არის მოთხოვნა სტატუსის დანამატი გაიცეს სრულად ყველა საგნის მასწავლებელზე, ისე როგორც ეს ხდება უცხო ენებისა და ისტორიის მასწავლებლისათვის.

პროექტის „სკოლისა და განათლების პოლიტიკის განვითარება საქართველოში, პედაგოგთა და მეცნიერების თავისუფალ პროფკავშირებთან თანამშრომლობით“ ფარგლებში გადამზადებულია 400-მდე მასწავლებელი, რომლებმაც გამოცდილება გაუზიარეს 1000-ზე მეტ მასწავლებელს. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერებათა თავისუფალი პროფკავშირები აერთიანებს პროფესიულ მასწავლებელთა ძლიერ გუნდს. პროფესიონალი მასწავლებლები აძლიერებენ თანამედროვე პროფკავშირს. ინერგება სისტემა, რომლის ფარგლებში პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მსჯელობენ სწავლების მეთოდებზე, სახელმძღვანელოებზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

სპმთპ-ს წინაშე, როგორც მის პრეზიდენტს მაია კობახიძეს მიაჩნია—დგას უამრავი სირთულე, რაც თან სდევს სიახლეებს, რომელიც უნდა დაინერგოს. პრობლემა ასეთია: საჯარო სკოლის მასწავლებელთა საბაზო ხელფასების ზრდა, მცირეკონტიგენტიან სკოლებში საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებელთა სტატუსის დანამატის სრულად გაცემა, ტექნიკური პერსონალის ხელფასის ზრდა, ყოფილი პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის, რომელთაც მრავალწლიანი სტაჟი და დამსახურება აქვთ, საგამოცდო ბარიერების სამართლიანად განსაზღვრა და სხვა. თავისუფალ პროფკავშირებში აღნიშნავენ იმასაც, რომ გაურკვეველი მიზეზით და ვადით დადებულია განსაკუთრებული წესით სტატუსის მინიჭების კომისია და კარიერული წინსვლის გამოცდები, ჭიანურდება სერთიფიცირებულ დირექტორთა სკოლებში წარდგენის და არჩევის პროცესი, სკოლამდელ დაწესებულებებში დაბალი ხელფასების ზრდა და სხვა.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერებათა თავისუფალმა პროფკავშირმა დიდი გამოცდილება დააგროვა, საკუთარ წარმატებულ გამოცდილებასთან ერთად კარგად იყენებენ და ნერგავენ დანიური სწავლების მეთოდოლოგიას, დიდ ყურადღებას უთმობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხებს, მაგრამ მთავარი—მასწავლებელთა შრომითი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლების დაცვა—პროფკავშირებისათვის მაინც უპირველესი საზრუნავია. დანიის მასწავლებელთა პროფკავშირების თანადგომასა და მზარდაჭერას სასურველი შედეგი მოჰყვა. სწორად არის გააზრებული პროექტის მნიშვნელობა, თანამედროვე მეთოდოლოგიების დაუფლება და მისი დანერგვა საგაკვეთილო პროცესში.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის პედაგოგთა პროფკავშირების კოორდინატორის ხათუნა გურულის თქმით—თერჯოლაში უახლოეს მომავალში ჩატარდება ტრენინგი სკოლების ავტორიზაციის თემაზე, რომელსაც წარუძღვება ესგ-ის ექსპერტი, ავტორიზაციის ექსპერტი, სპმთპ-ს საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე როლანდ ხოჯანაშვილი. ხათუნა გურული იმედოვნებს, რომ პროფავშირებში მრავლად გაწევრიანდებიან საჯარო სკოლების პედაგოგები, რითაც უფრო გაძლიერდება ეს მნიშვნელოვანი რგოლი და უფრო გაძლიერებულად დაიცავს პედაგოგთა ინტერესებს.

**ჟუჟუნა ცხადაძე**

# შემოდგომაა, შემოდგომა!
# მოსავალი ისაა, რაც ბეღელშია...

***დადგა შემოდგომა, როცა მიწის მეთარგე კაცმა მოსავალი უნდა დააბინაოს. ამ თემაზე შევხვდით და გავესაუბრეთ ზოგიერთ მეურნეს.***

**ა. დიაკონიძე, სოფ. ზედა ალისუბანი:** ახლა ყველა კლიმატური პირობების გაუარესებას უჩივის. აღარაფერს ვამბობ იმ საშინელ შედეგებზე რაჭასა და გურიაში რომ დატრიალდა, უხვი ნალექების გამო. ერთი მეურნე თუ უძღვება საქმეს მეც ვუძღვები, მთელი ოჯახით სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ვუვლით, ცხვარ-ძროხას, ღორებს და კრუხ-წიწილას... ესაა, ადრე თუ ნორმალური შრომა მჭირდებოდა ახლა გაასმაგებული ჯაფაა საჭირო. ესეცაა, ყველაფერი ძვირდება, რაც კულტურების მოსავლელადაა საჭირო, პრეპარატებს ცეცხლი უკიდია ბაზარში.

ძალ-ღონეს არ ვიშურებთ და არ მგონია ურიგო მოსავალი მივიღო. უკვე შევუდექი დაბინავებას, ძალიან კარგ სიმინდის მოსავალს ვიწევ, ვენახი კი არაა ისეთი ადრეულ წლებში რომ იყო, მაგრამ შვილებთან ერთად (ცალ-ცალკე ოჯახები აქვთ იმდენს კი მოვიწევთ, რომ სადმე ღვინის საყიდლად არ მოგვიწიოს წასვლა.

არ ვარ ბუნებით მოწუწუნე კაცი, მაგრამ მე კი არა ვინ არ იცის, რომ სოფელს და მეურნეებს მეტი დახმარება სჭირდება მოსავლის მოსაყვანად. შარშან გარკვეული თანხები ჩაერიცხა იმ მეურნეებს, რომელთა ნაკვეთები 1,25 ჰა ფართობს არ აღემატებოდა, იმის წინა წლებში კიდევ უფრო მეტი გამოგვეყო საწვავისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაბამისად. წელს ასეთი საერთოდ აღარ იყო და ეს მაშინ, როცა კლიმატური პირობები სულ უფრო უარესდება. მეტი იქნება დახმარება? მეტი იქნება მოსავალი, ამას რა ღარი და ხაზი სჭირდება. სოფელი თუ ძლიერი იქნა ეკონომიურად ქალაქიც ხომ მოღონიერდება.

**დ. კლდიაშვილი, ქ. თერჯოლა:** შემოდგომა რომ მოვა მეურნე კაცს მაშინ უდგება თუ უდგება საზრუნავი. მთელი წლის ნაშრომ-ნაწვალევს დაბინავება უნდა. ცნობილმა აკადემიკოსმა და დიდმა სწავლულმა აგრონომმა ლისენკომ თავის დროზე სწორად დაგვმოძღვრა, რომ „მოსავალი ის კი არაა, რაც მინდორშია, მოსავალი ისაა, რაც ბეღელშიო“. სხვა საქმეა თუ რა მოვიწიეთ და რა გვაქვს შესანახი. ამინდის კაპრიზებმა, საშინლად ცუდმა კლიმატურმა პირობებმა, გააძნელა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა. ადრე სიმინდიც მომყავდა და ყურძენსაც უხვად ვწურავდი, ახლა სიმინდი ვეღარ მომყავს, რადგან ბოლო წლებში რამდენჯერაც დავთესე, რომ წამოიწია და ტაროზე უნდა ემუშავა დაკრა არნახულმა გვალვამ და ხმობა დააწყებინა. მერე შტორმულმა ქარებმა ფოთოლიც აღარ შეარჩინა სიმინდს. აქედან, რომ „თხილიბარდში“ ივლი და ხარჯებს გაწევ, მოსავალს კი ვერ მიიღებ გაგიტყდება გული კაცს. ვაზის ფართობი სახლიდან ახლოს მაქვს, მოვლას არ ვაკლებ და არ ვემდური მსხმოიარობას. ეგაა ადრე თუ 4-5-ჯერ სჭირდებოდა შეწამლა, ახლა 7-8 აღარ ჰყოფნის. წელს მაინც საშინლად ცუდი ამინდები იყო პირგაზაფხულზე ვაზისათვის, ათასგვარმა დაავადებამ იჩინა თავი. პრეპარატები კი ყოველწლიურად ძვირდება. მაინც უნდა ვეცადოთ, მაინც უნდა შევებრძოლოთ ბუნებრივ კაპრიზებს. სირცხვილია ყველაფრის საყიდლად ბაზარში ხომ არ უნდა წახვიდე. მეტი დახმარება უნდა სოფელს, მეურნე კაცს. სოფელი თუ დაიმშა და კაცმა სარჩო ვერ მოიყვანა, სხვაგან წავა, აბა რას იზამს.

**გ. დადუნაშვილი, ინდ. მეწარმე, სოფ. ღვანკითი:** საკმაოდ დიდი ხანია საოჯახო ბიზნესი მაქვს. ყველანაირი ძირითადი კულტურა მომყავს. ესაა, ადრე თუ სიმინდი და სხვა სახის მარცვლეული მომყავდა, ახლა ბახჩეულითა ვარ დაკავებული. მოსავალი მომყავს, როგორც ღია ფართობებში, ისე სასათბურე მეურნეობაში, კერძოდ, თუ სათბურში კიტრსა და პომიდორს ვიწევ, ღია ფართობში საზამთრო მომყავს და შემოსავალსაც არ ვუჩივი.

ადრე, ქუთაისში, სპეციალური შეკრება ჩატარდა ფერმერისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით. ითქვა ისიც ამ შეკრებაზე, რომ გეზი უნდა ავიღოთ სასათბურე მეურნეობის შექმნაზე, რადგან ამინდები ისე იცვლება და ჭირვეულობს, შეიძლება ღია ადგილებზე მოსავლის მოყვანა საერთოდ შეუძლებელი გახდესო. სწორი იყო ეს განაცხადი, მაგრამ სათბურის გამართვას ძალიან დიდი ხარჯები სჭირდება. სესხი თუ აიღე იმხელა პროცენტები აქვთ ბანკებს, წელში გატყდები კაცი, ამიტომ სახელმწიფოდან სულ უფრო მეტი და მეტი დახმარება დასჭირდება ფერმერებს.

სხვა პრობლემაცაა. მაგ. ხომ ძალიან ძნელი მოსაყვანია ყურძენი, მოიყვან და არ იცი კაცმა სად წაიღოს ნამეტი პროდუქტი. ეს პრობლემა ძალიან ბევრს აწუხებს ჩემს სოფელში. ადგილზე აღარც მეღვინეობა „ხარება“ იბარებს ყურძენს (საკუთარი ზვრები გააშენა), აღარც შპს „ბაგრატიონი“, გაჩერებულია კოოპერატივი „შატო იმერეთი“, არადა ყურძენი მალფუჭებადია, ქუთაისში და სხვა ქალაქებში გასაყიდად მისი ტრანსპორტირება ძალიან ძნელია.

შრომა, ერთი-ორად გაორკეცებული შრომა სჭირდება მეურნეს, რომ მოსავალი მოიყვანოს. ჩვენც უნდა ვიშრომოთ, აბა სოფელში ვართ და სხვა რა გზაა. ბევრი მეუბნება შენ რომ შრომობ და შენი ოჯახი, მაგ შრომით უცხოეთში მილიონერი გახდებოდიო, მაგრამ მე აქ მირჩევნია ჩემს ადგილ-სამყოფელში, კაცი შრომისთვისაა გაჩენილი და არც საკუთარი გარჯით მოყვანილი ლუკმისთანაა რაიმე გემრიელი.

ყველა ჩემს კოლეგა მეურნეს მინდა ვუსურვო მოთმინება და მკლავის სიმრთელე. ღმერთმა ხვავრიელი შემოდგომები დაგვიყენოს.

**ი. ერაძე**

# „აუჰ, რა დრო გასულა“

სიქთარვის საშუალო სკოლის დამთავრების 50 წლის იუბილეზე დამპატიჟეს ყოფილმა კურსდამთავრებულებმა. იმ პერიოდის პედაგოგთაგან მხოლოდ მე აღმოვჩნდი, რომელსაც შეეძლო დასწრებოდა ამ იუბილეს. „აუჰ, რა დრო გასულა“—ვთქვი ჩემთვის და ერთმა წამში დამიდგინა ასაკი. „დაბოღმილმა“ ასაკის შეხსენების გამო, მეც წამში გამოვუანგარიშე „მოღუნე ხომ 67-ი, რაღა გიკლია 78-ს“. ასე მხიარულ განწყობაზე ბევრი ვისაუბრეთ და ვეფერეთ ერთმანეთს. შეკრება მეორე დღეს იყო, შაბათს, 9 სექტემბერს.

მე-7 კლასში სწავლობდნენ, როცა სიქთარვის შვიდწლიანი სკოლა ათწლედი გახდა. ეს თაობა მეორე გამოშვება იყო, 16-17 წლისანი, ახლა ასაკოვანნი, ბებია-ბაბუები, ან დიდი ბებია-ბაბუები. ოთხმოციანი წლები იყო, პიონერხელმძღვანელად ვმუშაობდი, ხანდახან ისტორიის გაკვეთილებსაც ვატარებდი, ვმეგობრობდი მოსწავლეებთან, ვინც სოფელში ცხოვრობს, ან წასულია და სოფელთან კავშირი აქვს, დღემდე ვმეგობრობ, ვიცნობ მათ შვილებს და შვილიშვილებს, შეხვედრისას ყოველთვის ელიან ჩემგან რაიმე კურიოზს ან ანეგდოტს. წლების წინ ერთი კურსდამთავრებულის შვილი შემხვდა, კბილი მტკიოდა და არ გავჩერდი სალაპარაკოდ. მიზეზი მკითხა—არ ვარ კარგად, კბილი უნდა ამოვიღო თქვა. მართლა ვერ ხარ, მამაჩემს ასწავლიდა, ერთ კბილს მოთქვამს, მე მალე პროტეზი დამჭირდებაო.

## შეხვედრა ნახევარი საუკუნის შემდეგ

სკოლის ეზოში შეიკრიბნენ. ასეთ ღონისძიებას საკლასო ოთახში შესვლა, მერხზე ჯდომა და სიის ამოკითხვა უხდება, მაგრამ საბედნიეროდ, ამ თაობის შემდეგ სიქთარვაში ორი სკოლა აშენდა, სამწუხაროდ, მასწავლებელთა უმრავლესობა გარდაცვლილია და ეს სასიამოვნო პროცესი არ შედგა. სკოლაში მათ დახვდათ სკოლის ახლანდელი დირექტორი ია კვატაია, მან ყველა ყოფილი პედაგოგის მაგივრობა გასწია, კურსდამთავრებულებს დაათვალიერებინა სკოლა, საკლასო ოთახები, კაბინეტები, ესაუბრათ დღევანდელი სკოლის წინაშე მდგომ ამოცანებზე, პარალელი გაავლო თაობებს შორის. სიმღერა „მახსოვს პირველად სასწავლებელში“ და სხვა სიურპრიზებმა სასიამოვნო გარემო შექმნა. კურსდამთავრებულებმა ქალბატონ იას არაერთხელ გადაუხადეს მადლობა, ამაღლებული იყო კურსდამთავრებულთა ერთმანეთთან შეხვედრა, წარსულის გახსენება, იმაზე საუბარი ახლა როგორ ცხოვრობენ, ვინ როგორ განვლო ორმოცდაათი წელი.

პირველად გარდაცვლილ პედაგოგთა ერთი ნაწილის და თანატოლების საფლავებს მიაგეს პატივი, გაიხსენეს მათი ცხოვრების დეტალები—37-მა დაამთავრა და შვიდი გარდაიცვალა: ნაილი აბულაძე, ნარგიზი აბულაძე, ინდიკო არაბიძე, ბიძინა კახიძე, ლევან მემანიშვილი, მარინა რობაქიძე, მარინა ქოჩიაშვილი.

ღონისძიების ორგანიზატორებმა თამარ წერეთელმა, ლექსო რობაქიძემ, რომან სულმანიძემ დიდი შრომა გასწიეს, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები თანატოლების თავმოყრა ადვილი არ იყო, ყველა მოვიდა გარდა საზღვარგარეთ წასულებისა, მათ—რუსუდან რობაქიძეს და დარეჯან ცინაძეს ვიდეოზარებით შეეხმიანნენ.

ოცდაჩვიდმეტივემ მონახა თავისი ადგილი ცხოვრებაში, საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლეს გარდაცვლილებმა, სანამ იცხოვრეს ღირსეულად იცხოვრეს. სკოლის ეზოში თუ საკლასო ოთახებში, სუფრაზე, ისაუბრეს თავის თავზე, ერთმანეთზე და წარსულზე—ბეღელაძე მარინა, ისაკაძე მანანა, ბახტაძე გულნარა, ისაკაძე ტარიელი, კახიძე გურამი, კვატაია ლიანა, კვატაია ნათელა, მემანიშვილი ეთერი, მშვენიერაძე მაყვალა, ოდიკაძე მამია, რობაქიძე ლექსო, სულამანიძე რომანი, წერეთელი თამარი, რობაქიძე იური, მარინა, მანია, ბორია, დარეჯანი, სირბილაძე ნანი, დარეჯანი, თენგიზი, ტაბატაძე ნუგზარი, ტაბატაძე ნოდარი, ფოფხაძე გურამი, ვლადიმერი, ცხადაძე ზოია, ცეზარი, ფანჩულიძე ბიქტორი—აი ისინი, ნახევარი საუკუნის წინ სკოლამ ბოლო ზარის ზეიმი რომ მოუწყო.

ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს ერთმანეთს, გარდაცვლილ თანაკლასელებზე, პედაგოგებზე ისაუბრეს, რომან სულამანიძე კარგი თამადა გამოდგა, სრული თავისუფლება იყო სუფრაზე, კვლავ და კვლავ ერთმანეთის მოფერება და მოგონებები...

კარგი დღე იყო დასამახსოვრებელი, იყო ხასხასა, სისხლივით წითელი თითო ვარდი და სამახსოვრო სუვენირები.

დაიგეგმა მომავალი შეხვედრაც—ორი ხუთიანი ანუ 55 წელი სკოლის დამთავრებიდან.

მე ალბათ ვეღარ ვიქნები ორი ხუთიანის შეხვედრაზე, მაგრამ ღმერთმა ხელი მოუმართოს მათ—30-ს.

# ბანანი სიქთარვაში—უმწიფარი ნაყოფით, მაგრამ მაინც მიმზიდველი...

ბანანი—მრავალწლიანი მცენარეა, მაღალი, აქვს ძლიერი ფესურა და მოკლე ღერო. ფოთლები დიდი ზომისაა, ხალთიანი, ქმნის მრავალშრიან მილისებრ ცრუ ღეროს, რომლის გავლით ჯერ ნორჩი ფოთოლი ამოდის, შემდეგ კი მტევნისებური ყვავილედი, ყვავილები ერთ და ორ სქესიანია, ნაყოფი მოგრძო, მრავალთესლა, კენკრა, სქელკანიანი, 15 სმ-მდე სიგრძის, მტევანში შეიძლება განვითარდეს 300-მდე ნაყოფი, რომელთა საერთო წონა 50-60 კგ აღწევს. მსხმოიარობის შემდეგ ბანანის ზედა ნაწილი ხმება. დაახლოებით 60-70 სახეობაა გავრცელებული აფრიკის, აზიისა და ავსტრალიის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. ნაყოფი შედგება კანისა და ტკბილი ფქვილოვანი რბილობისაგან. ნაყოფს იყენებენ როგორც ნედლად, ისე გამხმარს, ძვირფასი საკვები პროდუქტია, მისგან ამზადებენ ბანანის ფქვილს, კონსერვებს, მარმალადს, სიროფს, ღვინოს... ვკითხულობთ ქართულ ენციკლოპედიაში. ეს განმარტება სხვა დროსაც წამიკითხავს, მაგრამ მცენარე არასდროს მინახავს, სიქთარვაში შიდა საფეხბურთო შეჯიბრებაზე სიქთარველ ანზორ დავითის ძე ბუცხრიკიძეს, ვიღაცამ ბანანის ნერგები თხოვა. ბევრმა არ იცის და არც მე ვიცოდი, რომ ბანანის ხეები ანზორ დავითიჩის ეზოში დგას მრავლად, 15-30 წლის წინ გაშენებული.

ამ ამბავმა ინტერესი გამოიწვია. ბატონ ანზორის ეზოში რამდენიმე კადრი გადავიღე, ფოტოები ოჯახის რძალმაც გამომიგზავნეს და შევედი სარჩევში, რომელი დაგვებეჭდა.

ანზორ ბუცხრიკიძე გონიერი, ინტერესიანი კაცია, ოჯახის ყველა წევრი შრომისმოყვარეა და პატიოსნებით გამორჩეული. უყვართ სტუმარი, მომხმარეა და თითქმის ყველაფერი გამოსდის ხელიდან. უყვარს ანზორს ეს ეგზოტიკური მცენარე, როგორც ვთქვით, ბანანის ხე მსხმოიარობის შემდეგ ხმება და უწევს განახლება, გადარგავს პატარა ნერგებს და უვლის.

ნაყოფი როგორც სუბტროპიკულ ქვეყნებში ისეთივე აქვს, მაგრამ აქ მწიფობას ვერ ასწრებს და ჯერდებიან მხოლოდ სილამაზეს, ოჯახის წევრთა თვალსა და გულს მაინც ახარებს, უვლიან და უყვართ ეს მაღალი, მრავალწლიანი მცენარე, ძლიერი ფესურითა და მოკლე ღეროთი.

**ჟუჟუნა ცხადაძე**

# კარგი სიტყვა კარგ ადამიანებზე

## ასეთი მეურნეები ამაგრებენ სოფელს...

სოფელ ზედა ალისუბანში ბუცხრიკიძეების უბანი ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული ადგილია, იმდენად მჭიდრო, რომ მეზობლის სახლი თითქმის მეორე მეზობლის სახლზეა მიდგმული. კი არის სხვა გვარებიც შიგადა შიგ, მაგრამ ძირითადად მაინც ბუცხრიკიძეები არიან და შეიძლება სასიკეთო მიზეზი იმისა, რომ ამ უბანში ქიშპი და მტრობა უცხო ხილია და თუ სხვაგან ღობეზე გადამხტარი ქათმისათვის დანა-სისხლად არიან გადაკიდებული, აქ სულში იძვრენენ ერთმანეთს. ბოლო პერიოდში, როგორც სხვაგან, აქაც გაუჭირდა სოფელს და ახლა ორი კაცი ერთმანეთს რომ შეხვდება პირველი კითხვა ისაა ამ არეულ კლიმატურ პირობებში (ხან გადაუღებელი წვიმები, ხან გაუსაძლისი გვალვა) როგორ ახერხებ გადაარჩინო მოსავალი, მეორე—კიდევ ვინ გადარაზა კარები და უცხოეთისკენ ვინ გაუყვა გზასო...

ზემოთაღნიშნულ უბანში კი, ღვთის მადლით, კვლავ ძალუმად არიან შეჭიდებული მიწას, ცხვარ-ძროხაცა ჰყავთ და კრუხ-წიწილაც. დედაქალაქსა თუ საზღვრების გარეთ ცხადია ამ უბნიდანაც არიან ერთეულები წასული, მაგრამ ვინცაა დარჩენილი ერთგულად ქომაგობს სოფელს და მის გარეშე ცხოვრება ვერც წარმოუდგენია. მშობლიური კუთხის ნაღდი გულშემატკივრები არიან ძმები, ბადრი და მურად ბუცხრიკიძეები. ამ მკლავმოუღლელ ადამიანებს გულმოდგინე შრომით გამართული აქვთ მეურნეობა, ეზო-რიადაგე და ოჯახებიც შეძლებული აქვთ. მათი მოვლილი ყანისა და ვენახის ნახვას არაფერი სჯობს. ნახირიც ჯიშიანი ჰყავთ. ახლა რომელ სოფელში ნახავთ კიდევ ხარ-ურემს. ძმებს კი მინიტრაქტორთან ერთად მაინც ჰყავთ ხარები და სადაც ტექნიკა ვერ მიუდგება იქ ხარ-ურმით ერევიან საქმეს. ზემოთ უცხოეთში წასვლა ვახსენეთ. მურადი და ბადრი, როგორც თავად გვითხრეს, არსად წასვლას არ აპირებენ, ეგ კი არადა მურადიმ ქალაქიდან სოფელში დააბრუნა ვაჟი და გვერდით დაიყენა ყოველდღიურ საქმიანობაში. ბადრის მეუღლე ზედა ალისუბნის საჯარო სკოლის პედაგოგია. საალმზრდელო დაწესებულებაში საქმეს რომ მორჩება, შვილებთან ერთად ოჯახს დასტრიალებს თავს. კარგი ძმობა რომ აქვთ, ცხოვრებაც უადვილდებათ. როცა საჭიროა და მოძალებულია საქმე ერთმანეთს უდგანან მხარში. ასეთებზეა ნათქვამი ალბათ პოეტის ლამაზი სტრიქონები: გზას რომ მივყვები გზა მიძნელდება, ძმას რომ მივყვები სვლა იოლია, ცხრა მომღერალმა ვერ ამამღერა, ძმამ იმღერა და ამიყოლია.

ასეთი კარგი მაგალითებია აღსანიშნავი, თორემ რამდენი ვიცით, რომ ივიწყებს ღმერთის შეგონებას—„გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“-ო და სისხლს უშრობს მომიჯნავე მეზობელს თუ ახლობელს. რას არ გაიგონებს კაცი. ერთ სოფელში ძმებმა (შეგნებულად არ ვასახელებ სოფელს) რომ ვერ გაიყვეს თურმე საწნახელი და მაცივარი გახერხეს შუაზე(?!)

თანასოფლელები არიან და საკმაოდ ხშირად მიხდება ამ საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა. ისე როგორ აუვლით გვერდს ერთმანეთს ცოტა ხანს არ ჩამოვსხდეთ და არ წავისაუბროთ. ვისგან გაიგებ უკეთესად სოფლის ამბავს. აი, ნახე მეუბნება მურადი, ამ შემაღლებული ადგილიდან ხელისგულივით ჩანს მთელი სოფლის სანახები, როგორც სკანდის, ისე ალისუბნის. გული გეტკინება კაცს, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ადგილი რჩება მოუვლელი, დაუხნავ-დაუთესავი. ხანდახან, ღმერთო შენ შეგცოდე და მეც გამკრავს ფიქრი, რას ვაკლავ თავს ამ ფხეკებს, მივანებებ თავს შრომას და როგორმე სხვასავით მეც გავიტან თავს-მეთქი, მაგრამ იმავე წამს ვიღაც თუ რაღაც ყურში ჩამძახებს „უკეთურიაო მაგგვარი ფიქრი“. ვიცი ჩემი წინაპრები, ჩემი მშობლები არ მომიწონებდნენ ამგვარ საქციელს, აი იმ შემაღლებულ ბეგზე ქვა რომაა წამოყუდებული, რომ ჩამოვჯდები ჯაფისაგან თავისუფალი, აქეთ თვალს გავაყოლებ ჩხარის კანიონს, ირგვლივ ამწვანებულ მთაგორებს, სადაც ყოველი ხე, ბუჩქი თუ კენჭი ნაცნობია და საყვარელი, დაღლილ-დაქანცულობა ქრება და ვიცი ამ გარემოს გარეშე ვერსად ვერ გავძლებ. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ ღმერთმა ნუ ქნას და ამ მშობლიურ მიდამოს უცხო ჯიში და ჯილაგი დაეპატრონოს...

ბადრი მოძრავია, დღენიადაგ საქმეშია, სულ რაღაცას აკეთებს, მაგრამ საუბარი მასაც უყვარს და თუ დაგინახა ხარები რომ ჰყავდეს შებმული დაუხსნის, სახლში მიგიპატიჟებს და რომ იტყვიან თან გადაგყვება. ყანას ვხნავდი ერთხელ სოფელში. მოვიდა ფართობში შეპირებული ტრაქტორი თუ არა, ტრაქტორის ხმა რომ გაიგონეს, ლამის მთელმა კუთხემ მოიყარა თავი (ჭირს ამ დროს ტექნიკის შოვნა) იმის იმედით, რომ ჩემს შემდეგ თავისას დაუხნავდა. კი მქონდა წაღებული პატარა პურ-წყალი, ტრაქტორისტს და მის თანაშემწეს უსადილოს როგორ გავუშვებდი, მაგრამ ამდენი კაცი რომ თავზე დაგადგება იმას რას უშვრები. ერთი სიტყვით ამთავრებს ყანის დახვნას ტრაქტორისტი და რა ვქნა, როგორ მოვიქცე სიმწრის ოფლში ვიწურები. უცებ ნაკვეთის ჭიშკარი გაიღო და ხორაგით სავსე ორი ჩანთით ბატონმა ბადრიმ შემოაბიჯა. მაპატიეთ, მაგრამ მე ვარ ამ სადილად თქვენი მასპინძელი და მცირე პურ-მარილს თუ არ დამიწუნებთ მადლიერი დაგრჩებითო. რის „მცირე პურ-მარილი“ რომ იტყვიან ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას და ისეთი გემრიელი ნადიმი გამოგვივიდა, დაუვიწყარი. არის თუ არა ეს ნაღდი იმერული, კაცური ჟესტი მკითხველმა განსაჯოს.

ერთსაც დავსძენ, თუ კაცს პატარა წელ-მაგარი ოჯახი არ აქვს, ასეთს დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, ვერ გააკეთებს. ყოველივე კი, რა თქმა უნდა, გულმოდგინე, მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. სოფელში თუ ხარ და ცხოვრობ უნდა იშრომო კიდეც, აბა როგორ გინდა. უცხოეთში რა, იქ უშრომლად ხეებზე კრეფენ დოლარებს?

შრომაა ყველაზე დიდი სიქველე ამქვეყნადო რომაა ნათქვამი სწორია ეგ. შრომითაა მიღწევადი ყოველგვარი სიკეთე, ყველანაირი საყოლიებელი მყავს, მოვლა უნდათ დღენიადაგ. ხარებიც კი მყავს, ბევრს უკვირს რა სარგებელს აძლევს ამ კაცს ეს ხარები წლიდანწლამდე, რომ უვლისო. ადრიდან შემომრჩა და ვერ ველევი. უშეშობა გვიშრობდა სისხლს, ტყიდან ხარ-ურმით ვეზიდებოდით შეშას. ახლა ეს დრო წარსულს ჩაბარდა, გაზი შემოვიდა სოფელში და ამოისუნთქა დიდმა და პატარამ. წყალიც გვაქვს და რიგიანი გზა-კვალიც. ქუჩის განათება მოეწყო, ჭიშკართან მოდის ავტობუსი და სკოლაში მიჰყავს ბავშვები... წინა წლებში ფულადი დახმარებებიც იყო მეურნეებზე, მაგ. 2022 წელს სოლიდური თანხები დარიგდა, წელს აღარ იყო ასეთი და დაგვწყდა გული. რაც მეტი იქნება სოფელზე დახმარება, მით მეტი იქნება სოფლის პროდუქტები. უნდა გაითვალისწინონ, რომ ამინდები ყოველწლიურად სულ უფრო ჭირვეული ხდება და მოსავლის მოყვანაც ძნელდება.

ხარებზე მოგახსენებდით ეს გონიერი და ქედდალოცვილი პირუტყვი ოჯახის წევრივითაა ჩემთვის. რამდენი სიკეთე და ერთგულება მახსოვს მათგან. პირადად მაქვს გამოცდილი და აღარ მიკვირს ამდენი ხოტბა რომ შეუსხამთ წინაპართ ხარისთვის: ქვეყნის მარჩენალიო, ციხე-ტაძართა მაშენელი, გლეხკაცის შემმოსავი და დამპურებელიო... ჩემსას გეტყვით, ეს ცოტა ადრე იყო. შეშით დატვირთული ურემი ამომყავს ციცაბო ამოღმართზე, რამოდენიმე მეტრი დარჩა ვაკეზე ამოსასვლელად და მუხლმა უმტყუნა ორივე ხარს. ვეღარ ეწევიან უღელს. არადა უკან რომ დაგორდეს ურემი თქვენს მტერს ქარაფზე გადაიჩეხება ხარებიანად. ჩაიჩოქეს, კაცო, წინა მუხლებზე და არიან ასე. სული რომ მოითქვეს გამართეს მუხლი, მეც შევუძახე ომახიანად და მთელი ძალების დაძაბვით ამოიტანეს ურემი ვაკეზე. გადავრჩით ხარ-ურმიანად. ასეთი არაერთი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ მე რა უნდა ვთქვა იმაზე უკეთესი პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ, რომ თქვა თავის ლექს-შედევრში „ხარი“. ამ ლექსის ბოლო სტრიქონები თუ არ ვცდები ასე იკითხება: „ვიყო ხარივით ამტანი, ვიყო ხარივით მომთმენი, ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შევძლო ხარისოდენი“.

ხარისოდენი, ზოგადად, შეიძლება ვერა, მაგრამ იმდენი კი უნდა შეძლოს თითოეულმა ჩვენგანმა, რომ გონიერად გაისარჯოს, თავის თავსაც არგოს და ქვეყანასაც. პირადად, დღეს-დღეობით, ძალიან დიდ საქმედ მიმაჩნია თუ პერმანენტული მიგრაციის პირობებში, სახლის კარს არ გამოვკეტავთ და კარმიდამოს ნასახლარად არ ვაქცევთ, ისე გულმოდგინედ შევინახავთ და მოვუვლით, როგორც ჩვენმა წინაპრებმა მოიტანეს აქამდე.

## თვითნასწავლი ოსტატი

სოფელში რომ დადიხარ და სოფელთან კავშირი გაქვს არ ჯობია ამას არაფერი. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს, ჩვენი სოფლები და იქ მამა-პაპისეული კერა. ეს კი პირდაპირაა დამოკიდებული არა მარტო მათზე, ვინც უშუალოდ ცხოვრობს სოფელში, არამედ მათზე, ვინც გარემოებათა გამო, ქალაქში ჩამოსახლდა და აქ გასკვნა თავისი სახლის საძირკველი. პირადად ასეთ კატეგორიას მივეკუთვნები და ჩემს სკანდესა და ზედა ალისუბანთან მუდმივი კავშირი მაქვს. ზედ ორი სოფლის საზღვარზე ვცხოვრობ და ორივე სოფელს ჩემად ვთვლი, ორივე სოფლის მცხოვრებლებს ვმეზობლობ და ლხინსა თუ ჭირში ერთად ვართ. ძალიან მიხარია, როცა სოფელში რამე კეთდება, განსაკუთრებით ახლადწამოწყებულ სახლს რომ დავინახავ, ხარაჩოებში ჩამჯდარს და მშენებარეს. მიხარია იმიტომ, რომ ბევრ შრომისუნარიანს თვალი უცხოეთში სამუშაოდ წასასვლელად უჭირავს და აქა-იქ ფუძეკარს, უკვე დაერქვა ნასახლარი...

ცოტა გრძელი შესავალი გამომივიდა, მაგრამ ისეთი პიროვნება მინდა გაგაცნოთ, რომელიც ძალიან უბრალო, თავმდაბალი ახალგაზრდა კაცია, თავისი „ოქროს“ ხელების გამო ბევრს რომ სჭირდება და არათუ გადახვეწას აპირებს, არამედ სკანდეში მამა-პაპისეულ ნაფუძარზე დაიწყო სახლის მშენებლობა. ლევან კაკოჩაშვილზე მოგახსენებთ, რომელზეც არაერთი საქებარი სიტყვა მქონდა განაგონი.

კერძოდ ერთ ჩემს ნაცნობს სახლში ელექტროგაყვანილობა დაუზიანდა, მოიყვანეს შესაკეთებლად ვინაც ჯერ არს, მაგრამ ისეთი ჩახლართული სისტემა იყო, წლების წინათ გაკეთებული, გაუჭირდათ გასწორება. მაგ საქმეს ლევან კაკოჩაშვილი გაართმევს თავსო დააკვალიანეს მეზობლებმა. მოიყვანეს ლევანი და... ისე ყოველივე აგიხდეთ კარგად, როგორც მან ის საქმე მოიყვანა „უზორში“. ჩაუჯდა სქემას, გადააწყო-გადმოაწყო ელგამტარები და სულ რაღაც 15-20 წუთში გააჩახჩახა სახლი. როგორც შემდეგ შევიტყვე, სხვა უამრავისთვისაც გაუმართავს ხელი.

სიმართლე გითხრათ, დამაინტერესა ამ კაცის ნახვამ. უფრო იმიტომ, რომ მახსოვს და ვიცი ადამიანები, არსად რომ არ უსწავლიათ, მაგრამ ღმერთისგან თანდაყოლილი აქვთ განსაკუთრებული ნიჭი, კონკრეტულ პროფესიაში დაოსტატებისა და ისეთი დონის მიღწევისა ვერცერთი სასწავლებელი რომ ვერ მისცემთ მას.

გავიგე ელექტრიკოსობაში საქმის „პროფესორი“ ყოფილხარ, როგორ-რაფერ-მეთქი, ვკითხე შეხვედრისას.

კი ეგ საქმე ვიცი, მაგრამ „პროფესორის“ დონეზე ჯერ არ მიმიღწევიაო, მომიგო ალალად, ნაღდი პროფესორი ის არის, ვინც მაგ ხელობას მაზიარა. მურთაზ ჯავჯანიძე ალბათ გეცოდინებათ. ჩემი ნათლიაა, ერთი-ორჯერ სამუშაოზე წამიყვანა დამხმარედ და რომ შემატყო საქმე გამომდიოდა, მანამ არ მოვუცილებივარ გვერდიდან, სანამ დამოუკიდებლად არ შევძელი მუშაობა. (მურთაზ ჯავჯანიძე კი ვინ არ იცის მის სოფელ რუფოთსა თუ ქ. თერჯოლაში, რა კეთილი საქმე არ გინდა მისი ხელიდან არ გამოდიოდეს, ვის არ დაჭირვებია და ვისთვის არ გაუმართავს ხელი. ელსაქმეში ხომ ბადალი არ ჰყავს, მერიის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურში სწორედ ამ ნიშნითაა დასაქმებული და სხვა უამრავ საქმესაც ასრულებს საჭიროების შემთხვევაში. ჩვენს გაზეთშიც არაერთხელ ყოფილა წარმოჩენილი).

მუდმივი სამუშაო არ აქვს ლევანს, დასაქმება ხომ პრობლემურია ქვეყნის მასშტაბით, არაერთი შრომისუნარიანი სწორედ ამ მიზეზით მიდის უცხოეთში სამუშაოდ. ჩვენი ინტერვიუერი კი არსად წასვლას არ აპირებს. ეგ კი არადა რომ გავიგებ მავანი და მავანი წავიდაო, მეუბნება შეწუხებული, გულში რაღაც ჩამწყდება. ის ხომ დააკლდა ჩვენს სოფელს, ჩვენს ქალაქს, ჩვენს ქვეყანასო. ორი ძმები ვართ, მე და ჩემი უმცროსი ძმა დავითი. განა ისე მდიდრები ვართ მეტი არ გვინდოდეს? მაგრამ აქ ვიყოთ ხელმოკლედ ის გვირჩევნია, ვიდრე სამშობლოს გარეთ, სადმე ფუფუნებაში. ერთდროული სამუშაოები მაქვს ხან აქ, ხან დედაქალაქში და თავისუფალი რომ ვარ სხვა საქმისაგან უკეთესიცაა. თერჯოლის განაპირას ვცხოვრობ სოფელ რუფოთის დასაწყისში, მეურნეობა გვაქვს, ბაღ-ბოსტანი. სახლის გაკეთება დავიწყეთ სოფ. სკანდეში, იქ სადაც ჩვენი მამა-პაპის ფუძე-კარი იყო, საიდანაც მამაჩვენი წამოვიდა. ცოკოლი ამოვიყვანეთ. არაა ამ დროში სახლის გაკეთება იოლი, მაგრამ ნელ-ნელა ვაშენებთ და ღვთის შეწევნით სახურავშიც მოვიყვანთ. დიდებულია ჩვენი სამკვიდრო სოფელი ისტორიული სკანდე, რომელი კურორტი შეედრება. ამან უფრო გადაგვაწყვეტინა იქ სახლის აგება. მინდა შევქმნა ტრადიციული ქართული ოჯახი და არ გავაცივო მამა-პაპური კერა. „კაცი-კაცითა, ღობე-ქაცვითაო“ ნათქვამია. უზომოდ მადლიერი ვარ ჩემი მშობლების, რომლებმაც დიდი ჯაფით გამოგვზარდეს, ჩემი ნათლია მურთაზ ჯავჯანიძისა, რომელმაც არა მარტო საქმის კეთება დამანათლა, არამედ პროფესიასაც მაზიარა. უზომოდ მადლიერი ვართ ორივე ძმები კუთხე-მეზობლისა აქაც და სოფ. სკანდეშიც. მათი იმედი რომ არ მქონდეს სახლს როგორ წამოვიწყებდი. მე ისეთი რა გავაკეთე, რომ გაზეთში იყოს გასაწერი, მაგრამ პატარა საქმეც რომ არ გრჩებათ უყურადღებოდ უზომოდ მადლიერი ვარ ამისათვის.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მშვიდობა და სიკეთე არ მოგაკლოთ.

აყვავებულ საქართველოში გვეცხოვროს ყველას!

**გვერდის ავტორი**
**ი. ერაძე**

# მოხუცთა თავშესაფარი სოფელ ქვედა სიმონეთში

სოციალური აქტივობის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით გოგბერაშვილთან, ასევე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროს, დიანა ფოცხვერაშვილთან ერთად ქვედა სიმონეთში არსებულ მოხუცთა თავშესაფარს ეწვია, ბენეფიციარებს სასაჩუქრე პაკეტები გადასცა და სამომავლოდ მხარდაჭერას დაჰპირდა.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ აღნიშნა: **„სოციალური მიმართულებით მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა ხორციელდება, რომლებიც მოქალაქეების მხარდაჭერასა და გაძლიერებას უწყობს ხელს. მინდა აღვნიშნო, რომ ამ ადამიანებს, განსაკუთრებულად სჭირდებათ ჩვენი ყურადღება, თანადგომა და მზრუნველობა, რაც მომავალში კიდევ უფრო აქტიურად განხორციელდება".**

სოფელ ქვედა სიმონეთში მოხუცთა თავშესაფარი უკვე მეორე წელია რაც ფუნქციონირებს და ამ დროისთვის 8 ბენეფიციარს ემსახურება.

თავშესაფარის ხელმძღვანელის, ნინო ბოგვერაძის თქმით, აქ დიდი სიყვარული, მეგობრობა, კეთილგანწყობა და შრომა იგრძნობა, იძენენ ახალ თანამოაზრეებს, აქ ადამიანებს შეუძლიათ ბედნიერი მოხუცებულობა გაატარონ.

# სსიპ ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლა უეფას პროექტ „ფეხბურთი სკოლებში" ჩაერთო

აღნიშნული პროექტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით ხორციელდება, რომლის ფარგლებში, სკოლის პირველ და მეორე კლასელ გოგონებსა და ბიჭებს შეუძლიათ სკოლის ტერიტორიაზე რეგულარულად იარონ საფეხბურთო გაკვეთილებზე. ვარჯიშებს სფფ-ის მიერ გაცემული უეფას ლიცენზიის მქონე მწვრთნელები ჩაატარებენ და მასში მონაწილეობა სრულიად უფასოდ არის შესაძლებელი.

ქვედა სიმონეთის საჯარო სკოლის საფეხბურთო სტადიონზე, პროექტში მონაწილე ბავშვებისთვის ვარჯიში გაიმართა, რომელსაც სფფ-ის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, პირველი ვიცე პრეზიდენტი კახა ჭუმბურიძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით გოგბერაშვილი და სკოლის დირექტორი, ნათია აბულაძე დაესწრნენ.

პროექტის „ფეხბურთი სკოლაში" ფარგლებში სკოლას სპორტული ინვენტარი და საჩუქრები გადაეცა.

ღონისძიება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სრული ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს სკოლის ტერიტორიაზე უფასოდ ჩაერთონ ფეხბურთში.

# მუსიკალური საღამო ქალაქ თერჯოლაში...

**22 სექტემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ქალაქ თერჯოლაში, ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში, მუსიკალური საღამო გაიმართა.**

მუსიკალური საღამო ორკესტრის მსვლელობით გაიხსნა. პროგრამის ფარგლებში გაიმართა საბავშვო გასართობი და შემეცნებითი აქტივობები, მოეწყო ფერადი და მხიარული კარნავალი, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

მუსიკალური საღამო სალომე თათარაშვილის, დავით ანდღულაძისა და ბენდი „რეზო და ბავშვების" მონაწილეობით დასრულდა.

მუსიკალურმა საღამომ მრავალრიცხოვანი მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

**რუსკა როსებაშილი:** სასიამოვნო საღამოსთვის მადლობა დიდი ჩვენს განსაკუთრებულ, კეთილ და ყურადღებიან მერს, ბატონ მანუჩარს!

**ეკა მაკარიძე:** ბევრი ასეთი დღეები ჩემს თერჯოლას.

**ლია ლიაკო:** სიტყვები ზედმეტია იმ სიხარულისათვის, რაც დღეს მე მაჩუქეთ, უდიდესი მადლობა თერჯოლის მუნიციპალიტეტს, ბატონ მანუჩარ რობაქიძეს დღევანდელი დღის გალამაზებისთვის.

**ანიკო ფანჩულიძე:** ძალიან დიდი მადლობა ბატონო მანუჩარ, ძალიან ლამაზი ღონისძიება იყოს ყველა ასაკისათვის.

**იზო გაჩეჩილაძე:** ძალიან ლამაზი საღამო იყო. დიდი მადლობა თითოეულ ორგანიზატორს და განსაკუთრებით მერს, ასეთი ლამაზი საღამო რომ გვაჩუქა.

# იმერული ღვინის კონკურსი

**DMO-იმერეთისა და იმერული ღვინის ასოციაციის ორგანიზებით, 2023 წლის 5-8 ოქტომბერს, იმერეთში ტარდება იმერული ღვინის კონკურსი.**

კონკურსის მიზანია, საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა იმერული ყურძნის ჯიშების, იმერული ღვინისა და ზოგადად იმერეთის როგორც მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონის ცნობადობის ამაღლება.

საკონკურსო ნიმუშების დეგუსტირებას მოახდენს ქართველი და უცხოელი ექსპერტებისაგან შემდგარი ჟიური.

ღვინის გასინჯვისას დაცული იქნება კომპანიის ანონიმურობა.

**კონკურსში მონაწილეობის წინაპირობა:**

კონკურსზე შესაძლებელია წარდგენილ იქნას 100%-ით იმერული ყურძნის ჯიშისგან ან/და ჯიშებისაგან ნებისმიერი ტექნოლოგიით წარმოებული ღვინო, ან კანონმდებლობით დასაშვები 15%-მდე სხვა ჯიშის ყურძნის შერევით წარმოებული ღვინო, საქართველოს ნებისმიერი რეგიონიდან. კონკურსში მონაწილე შეიძლება იყოს: ღვინის საწარმო, ინდივიდუალური მეღვინე, კოოპერატივი ან მეღვინეთა გაერთიანება.

კონკურსში მონაწილე კომპანიამ თუ კერძო პირმა ნიმუშები შემდეგი სახით უნდა წარადგინოს:

· ღვინო უნდა იყოს ბოთლში ჩამოსხმული, მზად რეალიზაციისათვის;

· წარდგენილი ღვინის მინიმალური, დარჩენილი რაოდენობა არ უნდა იყოს 100 ბოთლზე ნაკლები;

ბოთლის ეტიკეტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

· მწარმოებელი კომპანიის სრული დასახელება

· ბრენდის დასახელება

· ღვინის დასახელება

· ჩამოსხმის წელი

· ყურძნის ჯიში

· რეგიონი/ქვეყანა

· მოცულობა

· წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი დასახელების ღვინის 4 ნიმუში ( ბოთლი= 0.75ლ).

**ამ მოთხოვნების გარდა, კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო იყო სარეგისტრაციო ფორმის შევსება და სხვა კონკრეტული პირობები, რომლებიც კონკურსში მონაწილეობის მსურველებს უნდა მოეგვარებინათ მიმდინარე წლის 23 სექტემბრამდე.**

**იმედია, თერჯოლელმა მეღვინეებმა წარმატებით გაართვეს თავი საკონკურსო პირობების შესრულებას და ისინი კონკურსის გამარჯვებულებადაც მოგვევლინებიან.**

# ფიქრები არასდროს გვტოვებენ

## სათაურისხელა მოთხრობები

ადამიანები სიტყვით და ნუგეშით აცოცხლებენ ერთმანეთს.

***

მედიცინა სასწაულებს ახდენს, მაგრამ სიზარმაცეს ვერაფერს უხერხებს.

***

მდიდრები და ღარიბები ერთმანეთს გვანან უმადურობით.

***

მდიდრებს ბევრი ფული აწუხებთ, ღარიბებს უფულობა.

***

აზრები აზრებს კარნახობენ აზრებს.

***

როცა სატირალზე იცინიან, ეს არის სატირალი.

***

თვალმილული მამული? არა, მამული გვაკვირდება.

***

მსოფლიო ცივილიზაცია აზრების ნააზრევია.

***

სარკე? ის არ ქმნის—აკონტროლებს!

***

შური?! (ახსნა არა აქვს).

***

სულ ვჩქარობთ! არადა ეს სოფელი სად გაგვექცევა?

***

შევეცადოთ გვქონდეს განწყობა, რომ გვქონდეს განწყობა.

***

სიძულვილი ეჭვმა გააჩინა სიყვარულის გამო.

***

ფილოსოფოსების ფილოსოფია სად მივა ჭორიკანების ფანტაზიასთან.

***

მლიქვნელი რომ მლიქვნელს ემლიქვნელება მეტი მლიქვნელობა რა უნდა იყოს?!

***

კაცი რომ ხეს რგავს, ღვთის წყალობას ჰგავს.

# ჩვენს მკითხველებს

გაზეთი „თერჯოლა“ თქვენი გულწრფელი მეგობარია, ენდეთ მის რჩევებს:

სწავლულ-მედიკოსებმა არაერთხელ დაადასტურეს, რომ უსაქმურობით ადამიანის ინტელექტი თვალში საცემად ქვეითდება. ის აღარ, ან იშვიათად რეაგირებს გარე თუ შინა ყოველდღიური ცხოვრების ავსა და კარგზე. მასში იღვიძებს ეგოიზმი, უნდობლობა და ა.შ.

სად ვეძებოთ გამოსავალი?

—ცადეთ და რაიმე ადვილად საკეთებელ საქმეს მოკიდეთ ხელი. ეს შეიძლება იყოს: რომელიმე თამაში, ან საყვარელი პოეტის კრებული გადაფურცლეთ, ან ბავშვობისდროინდელი რაიმე „სისულელე“ გაიხსენეთ.

—ეზო-გარემოს ჩაავლეთ თვალი, სარეველა ხომ არ მრავლობს?..

ბოლოს და ბოლოს ოჯახში „საჩხიკინო“ საქმეს რა გამოლევს!..

**ნუგზარ იშხნელი**

# გილოცავთ!

ზედა სიმონეთის დავით კლდიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგები ვულოცავთ ჩვენი სკოლის პედაგოგს **ელისო ქათამაძეს** შვილების **ილია ზარნაძისა** და **თამარ გაგნიძის** ქორწინებას. უფლისგან დალოცვილი ყოფილიყოს მათი შეუღლება, ფუძეძლიერი, ბედნიერი ოჯახი შეექმნათ. შვილთა სიმრავლე, სიკეთე და სიხარული არ მოჰკლებოდეთ.

# დღის საფიქრალი

## აქტუალური თემა

უფროსი და თანამედროვე თაობების ადამიანებს კარგად ახსოვთ როგორი იყო ჩვენი სოფელი, როგორ ცხოვრობდა... ანუ, როგორც ვიტყვით ხოლმე—რით სუნთქავდა?

საუბარი არ არის არც თუ შორეულ წარსულზე, როცა ყოველ ეზოში კრუხ-წიწილის კრიახი ისმოდა.

როცა ყოველ სოფელს მსხვილფეხა მეწველი პირუტყვის ნახირი დაუდიოდა...

დღეს 3-4 წლის პატარებს საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში თუ უნახავთ ინდაური, ბატი, ცხვარი, ღორი და ა.შ.

რა ვიღონოთ?

სასათბურო მეურნეობა? დიახაც მნიშვნელოვანია!

მაღაზიებში სრული ასორტიმენტია!

ბაზარიც ბაზრობს... და ამ ყველაფერს დღეს ცხოვრება კარნახობს და არეგულირებს...

მაგრამ...

მაგრამ სოფლის იდილია?

სოფლის ინტიმური გარემო?

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარეთ მამული როგორღა ვიგრძნოთ?..

რას?

რას გვთხოვს დიდი გალაკტიონის სულის ძახილი?

სად დავსვათ მახვილი?

**ნუგზარ იმერლიშვილი**

# ნიკოლოზ ქოჩიაშვილი

ადამიანი, რომელმაც საზოგადოებას დაუტოვა ნათელი მოგონება და ტკივილი.

პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა ოჯახი, საახლობლო და სამეგობრო დაამწუხრა.

ბატონმა ნიკოლოზმა ცხრა ათეულ წელზე მეტ ხანს მოათია ამქვეყანაზე. მოვიდა, შექმნა და ოჯახისა და საზოგადოების წინაშე ვალმოხდილი აღესრულა.

პროფესიით პედაგოგი გახლდათ და თავისი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. ერთხანს, მაშინდელი, რაიონული გაზეთის „წინსვლის“ რედაქციაშიც ჟურნალისტობდა. მრავალი წლის განმავლობაში საზოგადოებრივ საქმიანობაში იყო ჩართული. ეკავა მმართველი პარტიის რაიონული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ხოლო შემდეგ რაიაღმასკომის თავმჯდომარის პოსტი.

აღნიშნულ თანამდებობებზე გამოვლინდა ბატონი ნიკოლოზის ორგანიზატორული საქმიანობის ნიჭი და უნარი.

საზოგადოებაში იცნობდნენ როგორც უმწიკვლო, კეთილსინდისიერ და ნიჭიერ ორგანიზატორს.

სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

იყო ზნეკეთილი ოჯახის პატრონი, ღირსეული მეუღლე, მამა და ბაბუა.

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.

**გაზეთი „თერჯოლა“**

# სოსო კლდიაშვილი

იგი წლების წინ, თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიერ კლდიაშვილების საგვარეულო ხატის კურთხევისას გავიცანი უფრო ახლოს და ვთვლი, რომ მთელი სისრულით. მისი შვილი, წარმოსადეგი ვაჟკაცი გიორგიც თან ახლდა.

დასანანია, რომ ეს მშვენიერი ახალგაზრდა ავტოსაგზაო შემთხვევით დაიღუპა.

მისი გარდაცვალება ძალზე დაეტყო სოსოს...

ვერ გაუძლო შვილის გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს, ინსულტმა იმძლავრა მასზე...

უფალო, ნათელი არ მოაკლო სოსოსა და მისი შვილის, გიორგის ხსოვნას!

**დავით კლდიაშვილი**

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებაში თანაუგრძნობენ მერი ჩაფიჩაძეს ძმის

**მანუჩარ ჩაფიჩაძის**

გარდაცვალების გამო.

# ჭუბერის უღელტეხილი—გადარჩენის ერთადერთი და სიკვდილის გზაც...

## მარადიული ხსოვნა მათ, ვინც შეეწირა ინსპირირებულ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს

გაზეთ „თერჯოლას“ არაერთი პუბლიკაცია გამოუქვეყნებია ჩვენი დიდი ტკივილის—დედა სამშობლოდან აფხაზეთის თუ სამაჩაბლოს მოწყვეტის გამო...

ამჯერად, სოხუმის დაცემის 30 წლისთავთან დაკავშირებით გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ერთ რეალურ ტრაგიკულ ფაქტზე—სოხუმის დაცემის შემდეგ ჭუბერის დათოვლილი უღელტეხილის გავლით დევნილების სამშვიდობოზე გამოსვლის ერთ ტელერეპორტაჟზე, რომლის ავტორებია ჩვენი გაზეთის ყოფილი ჟურნალისტი, დიანა ციბაძე და ოპერატორი ნოდარ ლეკვეიშვილი.

ამ კადრების მცირე ფრაგმენტის ნახვა თქვენ შეგიძლიათ ინტერნეტსივრცეში (მადლობა მათ, ვინც ის განათავსა, რედ,). მართალია, ამ რეპორტაჟის კადრები, რომ იტყვიან წამიერია, მაგრამ ისინი მძაფრად ასახავენ ტანჯულ-წამებულ ადამიანთა სწრაფვას სიცოცხლის გადასარჩენად.

ამ კადრებს, ჟურნალისტის ნაცვლად, საიტის ადმინისტრაციის ასეთი კომენტარი ახლავს:

**„სრულიად საქართველომ კარგად იცის ეს კადრები—დათოვლილ ჭუბერზე ფეხით მომავალი დევნილები. მათ თითქმის სისტემატურად იყენებს ყველა ტელევიზია.**

**ვრცელდება ინტერნეტსივრცეში, ავტორებზე კი არაფერს ამბობენ, ან საავტორო უფლებებს ითვისებენ.**

**სიკვდილის ეს გზა, დევნილებთან ერთად ფეხით, ცნობილმა ჟურნალისტმა დიანა ციბაძემ, ინგა გორგიძემ და ოპერატორმა ნოდარ ლეკვეიშვილმა გამოიარეს და გადაიღეს...**

**მათთვის მადლობაც კი არავის უთქვამს, თუმცა მადლობისათვის არც იბრძოდნენ...**

**სრულიად საქართველოს გასაგონად გვინდა კიდევ ერთხელ ვთქვათ—„ჭუბერის სიკვდილიანი გზის თოვლიანი კადრების ავტორები დიანა ციბაძე და ნოდარ ლეკვეიშვილი არიან. იმით მაინც მივაგოთ მათ ხსოვნას პატივი, რომ ამ კადრების ნახვისას ნუ დავივიწყებთ მათ სახელებს“...**

ასეთი კომენტარით გარბის ჩვენს თვალწინ 30 წლის წინ გადაღებული ეს ტკივილიან-ტრაგიკული კადრები, რომლებიც განსაკუთრებულად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე...

სიცოცხლის გადასარჩენი ამ ერთადერთი გზის გავლას, რომელიც ბევრი დევნილისათვის სიკვდილის გზად იქცა, თითქმის ორი კვირა დასჭირდა.

შემზარავი იყო მაშინდელი ამბები... მაგრამ იმედის ნაპერწკალი მაინც დარჩა, რომ ძმათამკვლელი დაპირისპირება ოდესმე მაინც განელდებოდა, რასაც ჩვენი ქვეყნის ერისა და ბერის გონიერება წაადგება უპირველესად...

სწორედ იმისათვის, რომ ჩვენს და აფხაზებს შორის მამა-პაპათაგან გადებული ძმობის ხიდი მთლიანად არ ჩანგრეულიყო, მაშინ, არაერთმა ქართველმა და აფხაზმა გაწირა თავი ერთმანეთის გადასარჩენად...

თუმც, გადამთიელთა ორპირობამ და ძალმომრეობამ თავისი ქნა—27 სექტემბერს დაეცა სოხუმი... იმავე დღესვე, სეპარატისტებმა და მომხდურებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ჟიული შარტავა, ჩვენი ქვეყნის ეროვნული გმირი და მისი რამდენიმე თანამებრძოლი, სოხუმის ადმინისტრაციის სახელმწიფო მოხელე...

ჩვენ გვეამაყება იმ დღეთა საქმენი საგმირონი... ვერასოდეს დავივიწყებთ იმასაც, რომ აფხაზეთში—ოდითგან ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილში, დღესაც ბევრი გულშემატკივარი და მეგობარი გვყავს...

იმედი დავიტოვოთ, რომ დადგება დრო, როცა სხვათა ჩაურევლად ვიპოვით გზას, რომელიც გაგვაერთიანებს...

სწორედ ასე სწამდა მაშინ, 30 წლის წინ, დიანა ციბაძეს—ჩვენებურს, ნახშირღელეში დაბადებულ ნიჭიერ ადამიანს, ცნობილ ჟურნალისტს, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ჩვენს გაზეთში, სადაც სულითა და ხორცით ეზიარა ჟურნალისტიკას...

ჟურნალისტურ გზაზე მან ბევრი რამ შექმნა... იყო რეალისტი, პრინციპული, იმედიანი...

დავაგვიანეთ, ძალზე დავაგვიანეთ, მაგრამ უმჯობესია, ახლა მაინც გავაკეთოთ ის, რაც წლების წინ უნდა გაგვეკეთებინა ანუ დიანა ციბაძის ჟურნალისტური მოღვაწეობა სახელმწიფო ჯილდოთი აღვნიშნოთ.

**გაზეთი „თერჯოლა“**





# ელგუჯა ბერულავა—მინდა ჩემი თაობის იმედი ასრულდეს

**„ო, აფხაზეთო მრავალ კარგი მოყმის გამდელო,**
**ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“**
**შ. ნიშნიანიძე**

27 სექტემბერი საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მოვლენაა. 1993 წლის ამ დღეს ძმათა მკვლელი ომი ორ მოძმე ხალხს შორის სოხუმის დაცემით დამთავრდა. აფხაზეთი თავის განუყოფელ მიწას მოსწყდა და ათიათასობით ქართველი მშობლიურ ქვეყანაში დევნილად იქცა. საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა მამაჩემი გურამ ბერულავა. იგი ამ ომის ვეტერანია და ცხადია ის და მისი, სასწაულებრივად სიკვდილს გადარჩენილი მეგობრები, განიცდიან ყველაზე მეტად ამ ტრაგიკულ დღეს.

მე და ჩემი დები იმ დროს პატარები ვიყავით, მაგრამ ბავშვური გუმანით ვგრძნობდით, რომ რაღაც დიდი უბედურება ხდებოდა. მადლიერნი ვართ ქრისტე ღმერთის, რომ იმ ხოცვა-ჟლეტას გადავურჩით და მშობლებთან ერთად სამშვიდობოს გამოვაღწიეთ.

დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამბობენ, არ ყოფილა ყველა შემთხვევაში ასე. ამ ტკივილს აფხაზეთის კვლავ შემოერთება და დაბრუნება თუ გაგვინელებს მხოლოდ.

აფხაზეთშია ჩემი მამა-პაპისეული კერა. დღე არ გავა ჩვენს ოჯახში, ამ ზღაპრული მხარის ხსენება არ იყოს. რა გასაკვირია თუ ჩვენ, შვილებსაც ერთი სული გვაქვს ვნახოთ ჩვენი საცხოვრისი: ლურჯად მოკაშკაშე ზღვა, მწვანეში ჩაფლული ქალაქები, მოხასხასე მთა-გორები. მართალია, წლების გასვლასთან ერთად, მინავლებულია იმედი აფხაზეთის შემოერთებისა და ჩვენი იქ დაბრუნებისა, მაგრამ ჯიუტად ვოცნებობ იმ დღეზე, როცა საქართველო კვლავ გაერთიანდება და ჩემი თაობის იმედიც ასრულდება.

27 სექტემბერი, დიდი ქრისტიანული დღესასწაულის, ჯვართამაღლების დღეა. მინდა, როგორც ქრისტეს ჯვარი განახლდა და ამაღლდა, ისე საქართველო გამთლიანდეს და ამაღლდეს.

ღმერთმა ყველას ეს იმედი აგვიხდინოს!

**ი. ერაძე**

**შპს „თერჯოლა“**
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
**სარედაქციო კოლეგია**
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
**მისამართი:**
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872